



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 54

2011 წლის 6 მაისი
ქალაქი ხაშური

9 მაისს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 66 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებისათვის (ვეტერანებისათვის) საზეიმო საღამოს მოსაწყობად საჭირო კვებითი მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 5 მაისს (სატენდერო განცხადება SPA 110011972) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი 9 მაისს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 66 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებისათვის (ვეტერანებისათვის) საზეიმო საღამოს მოსაწყობად საჭირო კვებითი მომსახურების შესყიდვაზე, რომელიც არ შედგა. 9 მაისის ღონისძიებამდე რჩება 3 დღე, მათ შორის: ორი დასვენების და ერთი უქმე დღე. სამამულო ომის მონაწილეთათვის საზეიმო საღამოს მოწყობა დაუყოვნებლივ განსახორციელებელია.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს 9 მაისს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 66 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებისათვის (ვეტერანებისათვის) საზეიმო საღამოს მოსაწყობად საჭირო კვებითი მომსახურების გამარტივებული შესყიდვა.

2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.

3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ.ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი
როსტომ გრიგალაშვილი

